პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება** Post-Soviet Transformation: Politics, Economy, Society
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდგომ:** სოციალური მეცნიერებების მაგისტრი Master of Social Sciences **პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდგომ:** კვლევის მაგისტრი სოციალურ მეცნიერებებში Master of Research in Social Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან 60+60** (ECTS): **პირველი ნაწილი:** კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: • სავალდებულო სასწავლო კურსები: 40 კრედიტი (ECTS) • არჩევითი სასწავლო კურსები:15 კრედიტი (ECTS) • თავისუფალი კრედიტები: 5 კრედიტი (ECTS) სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა. **მეორე ნაწილი: კრედიტების მოცულობა 60 კრედიტი** (ECTS), მათ შორის: • სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 კრედიტი (ECTS) • არჩევითი სასწავლო კურსები: 5 კრედიტი (ECTS) • თავისუფალი კრედიტები: 5 კრედიტი (ECTS) • სამაგისტრო ნაშრომი: 30 კრედიტი (ECTS) სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა.
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**მარინა მუსხელიშვილი,** პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **პირველ ნაწილზე** (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სოციალური მეცნიერებების ნებისმიერ დარგში/ქვედარგში, ისტორიაში, ეკონომიკაში, ფილოსოფიასა და სამართალმცოდნეობაში, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების

	შედეგებისა და ქვემოთჩამოთვლილი გამოცდების საფუძველზე: • ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება სერტიფიკატით ან თსუ-ს მიერ ჩატარებული წერითი გამოცდით); • წერითი გამოცდა (ესე); • მიმღებ კომისიასთან გასაუბრება. **ქულების განაწილება:** გამოცდა ინგლისურ ენაში - 30 %, გამოცდა სპეციალობაში - 40 %, გასაუბრება - 30%. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **მეორე ნაწილზე** (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“ პირველი ნაწილის დასრულებით). ამ ნაწილზე დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადობა (პირველი ნაწილი) მიზანია:** მოამზადოს სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ინტერდისციპლინური ცოდნა საქართველოს პოსტსაბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის შესახებ; ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენებისა და ცვლილებების დაკავშირების უნარი; ქვეყნის შემდგომი განვითარების ხელშესაწყობად მიღებული განათლების გამოყენების მზაობა. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადობა (მეორე ნაწილი) მიზანია:** მოამზადოს სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტები, რომლებსაც საქართველოს პოსტსაბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის კვლევის შედეგად ექნებათ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენებისა და ცვლილებების კომპლექსური თეორიული გააზრების უნარი;
სწავლის შედეგები	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებული:** ა) **ცოდნა და გაცნობიერება** – აღწერს და ღრმად აანალიზებს ქვეყნის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ძირითად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებსა და ტენდენციებს; დემოკრატიზაციას, სახელმწიფოს მშენებლობას;

	– კრიტიკულად იაზრებს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებს შორის კავშირს; ბ) **უნარი** – იყენებს მიღებულ ცოდნასა და მიდგომებს კონკრეტული პრაქტიკული მულტიფაქტორული ამოცანების გადასაჭრელად საჯარო სამსახურში, სამოქალაქო სექტორში, საკონსულტაციო საქმიანობაში; – აწარმოებს პროფესიულ და საჯარო კომუნიკაციას სოციალურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებზე, ეთიკაზე და ჩვევებზე დაყრდნობით; გ) **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** წერილობით, ვერბალურად და/ან კომპიუტერული ვიზუალიზაციის გამოყენებით მონაწილეობას იღებს ინგლისურ ენაზე დისკუსიაში, მსჯელობასა და დებატებში; აცნობს საკუთარ ინოვაციურ იდეებს და მიღებულ ცოდნას კოლეგებს, სტუდენტებს ან ფართო საზოგადოებას; **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებული:** ა) **ცოდნა და გაცნობიერება** სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს შორის კავშირების კრიტიკული ანალიზისა და ცალკეული ელემენტების სინთეზის საფუძველზე წარმართავს აკადემიურ კვლევას (შედარებითი ანალიზისა და ინსტიტუციური ანალიზის გამოყენებით) და აწარმოებს ანალიტიკურ საქმიანობას; ბ) **უნარი** განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში შესწავლილი მეთოდური და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, მულტიფაქტორულ გარემოში, პრობლემურ სფეროებს/საკითხებს და დამოუკიდებლად ახდენს ცოდნის შემდგომ გაღრმავებას; გ) **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** ქვეყნის განვითარების წარსულ და შესაძლო მომავალი სცენარების მიმართ საკუთარი მოქალაქეობრივი დამოკიდებულების გაცნობიერების საფუძველზე, შემოქმედებითად და რაციონალურად, შეაქვს საკუთარი წვლილი ამ განვითარებაში როგორც პროფესიული საქმიანობით, ასევე სამოქალაქო აქტივობით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ზეპირი/წერითი; წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე დამოუკიდებელი

	მუშაობა; ახსნა - ინტერაქციული ლექციები; დისკუსია/დებატები; ახსნა-განმარტებითი; შემთხვევების განხილვა; გონებრივი იერიში; პრობლემაზე დაფუძნებული/კვლევაზე დაფუძნებული სწავლება (PBL/EBL); ელექტორნული სწავლების მეთოდები.
შეფასების წესი	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში (პირველი ნაწილი)** სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

	დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) ფარგლებში:** სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპენენციის ჩამაღრმავებელ სასწავლო კურსებს (იხ. სასწავლო კურსების შეფასების სქემა, პროგრამის პირველი ნაწილის შეფასების სისტემის რუბრიკაში), რის საფუძველზეც დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მომზადებისა და დაცვის წესი დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად: **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას2.“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმები: • აქტუალობა - 5 ქულა

	• კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა • ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა • ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა • ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა • ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა სულ - 100 ქულა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები: ა) აქტუალობა - 5 ქულა (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო

	მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). შენიშვნა: რეცენზენტი რეკომენდაციის გაცემისას ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, გარდა ვ) პუნქტისა
დასაქმების სფეროები	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს:** საჯარო სამსახურში, სამოქალაქო სექტორში, სასწავლო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და მედიაში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დამატებით დასაქმდეს:** კვლევით დაწესებულებებში ისეთ სამუშაო ადგილებზე, როგორიცაა მკვლევარი, ანალიტიკოსი, პროექტის ხელმძღვანელი და სხვ.
სწავლის გაგრძელების პერსპექტივა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი I)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი II)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის და ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების, აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

	ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა

	„Turnitin"-ის ამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ამოწმებს სამაგისტრო ნაშრომს „პლაგიატზე", ხელმძღვანელობს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით". სამსახური, დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე, ნაშრომების ელექტორნულ ვერსიას უგზავნის რეცენზენტს და კომისიას. ნაშრომში შესაბამისი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით აცნობებს სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიას რეაგირების მიზნით. ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილება: ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში; ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე; გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტის ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა გაუგზავნოს წერილობითი თანხმობა მაგისტრანტის დაცვაზე დაშვების თაობაზე. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე მიიღებს 5 სტუდენტს.

დანართი №2

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: ინტერდისციპლინური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 60+60 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: მარინა მუსხელიშვილი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22.06.2026 44/2026 (დანართი 296)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პირველი ნაწილი

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო 40 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	საგამოცდო						
1		დემოკრატია, პოსტდემოკრატია, პოპულიზმი	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		მარინა მუსხელიშვილი
2		საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	√		ეკა ლეკაშვილი
3		სახელმწიფო და ეკონომიკა: სოციოლოგიური პერსპექტივა	5	11	19	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	ანა დიაკონიძე

4		დემოკრატიზაცია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	გია ჟორჟოლიანი მარინა მუსხელიშვილი
5		მედიასისტემები ტრანსფორმაციის პროცესში	5	15	15	7	88	125	წინაპირობის გარეშე	√		ხათუნა მაისაშვილი მაია გოგოლაძე
6		პოსტსოციალიზმის ანთროპოლოგიური შესწავლა	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე	√		თეონა მატარაძე
7		ეკონომიკური განვითარება შედარებით პერსპექტივაში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		თორნიკე ჩივაძე გია ჟორჟოლიანი
8		ადგილობრივი დემოკრატიის დინამიკა: თვითმმართველობის რეფორმა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	მარინა მუსხელიშვილი
არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 15 კრედიტი (ECTS)												
1		პოსტკომუნისტური მმართველი კლასი	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		ბაქარ ბერეკაშვილი
2		ერთობლივი რესურსები: სათემო სოფლის მეურნეობიდან უფასო პროგრამულ უზრუნველყოფასა და გენერიკულ მედიკამენტებამდე *(in English)*	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	Eveline Baumann ეველინ ბაუმანი
3		კრიტიკული კონსტიტუციონალიზმი	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	ვახტანგ ნაცვლიშვილი

4		პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			იაგო კაჭკაჭიშვილი
5		შრომითი ურთიერთობები საქართველოში ევროინტეგრაციის კონტექსტში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		მარინა მუსხელიშვილი
6		მეხსიერების პოლიტიკა გარდამავალ დემოკრატიებში: სამხრეთ ევროპა და პოსტკომუნისტური ევროპა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	ბაქარ ბერეკაშვილი
7		სამხრეთ კავკასია: სივრცე, საზოგადოება, განვითარება	5	24	6	6	89	125	წინაპირობის გარეშე	√		იოსებ სალუქვაძე
8		სოციალური მოძრაობების თეორია და პოსტ - სოციალისტური მოძრაობები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		√	ნინო ხელაია
თავისუფალი კრედიტები - 5 კრედიტი (ECTS)												

პროგრამის მეორე ნაწილი

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო 50 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	საგამოცდო						
1		პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		გია ჟორჟოლიანი მარინა მუსხელიშვილი
2		შედარებითი ანალიზის მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	√		თეონა მატარაძე
3		სამაგისტრო კვლევისა და ნაშრომის დიზაინი	5	15	15	7	88	125	წინაპირობის გარეშე	√		ხათუნა მაისაშვილი
4		სამოქალაქო საზოგადოება შედარებით პერსპექტივაში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		მარინა მუსხელიშვილი

5		სამაგისტრო ნაშრომი	30	30			720	750	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი		√	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 5 კრედიტი (ECTS)												
1		სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	√		თეონა მატარაძე
2		შედარებითი პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		გია ჟორჟოლიანი
3		პროექტის მართვა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	√		მედეა ბადაშვილი
თავისუფალი კრედიტები - 5 კრედიტი (ECTS)												

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა_____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა_____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი